
L F567 ✓ 3688

რ თ ვ ე ლ ი ა,
რ თ ვ ე ლ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი!

ქართველი მევენახეები იბრძვიან 300.000 ტონა ყურძნისათვის



ჭაშნიკი

ოთარ თურქიას ფოტო

შემოდგომა თბილისში

იოსებ ნონეშვილი

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ.
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.

მოვარდება კახეთიდან,
ვით ფეხმარდი მოამბე,
ღვინისა და ხილის სურნელს
თბილისშიაც მოაფენს.

შეჩერდება მოქალაქე,
მოსდის ელეთ-მელეთი.
იტყვის: ალბათ ღვინის სუნით
სუნთქავს მთელი ხმელეთი.

და მახლობელ ბაზრის კარებს
შეხსნის ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით
შემოდგომა ქართული.

არიგებულ, ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფანზე
ყველა თავის შრომის ნაყოფს
და მოსავალს აფასებს.

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.

ღვინის ზღვა და ხილის რიყე,
ხილთა ქება ნამდვილი.
ქარში უცხო ფრინველივით
მოფრიალე მანდილი.

ყაფანებთან ანათებენ,
ვით ვარსკვლავნი დარისა,
ქერა გოგო — პირიმზისა,
თეთრი — პირიმთვარისა.

მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი,
მარჯვნივ ვაშლის მთებია
და ტიკები, ლოთებივით
ბოძებს მიჰყუდებიან.

იქ კი, სადაც ყვითელ კომშებს
და ჩურჩხელებს ჰყიდიან,
ალაზნის პირს დახოცილი
დურაჯები ჰკიდია.

— ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს,
მაშ, შემირცხვეს სახელი! —
კარდანახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდანახელი.

იმერელი ცდილობს შენს გულს
ტკბილად დაეპატრონოს:
— ნუ იყიდი, მარტო გემო
ნახე, ჩემო ბატონო!

ყურძენს აქებს ხიდისთავი,
წითელ ატამს — ატენი.
ირგვლივ ხილი,
შეძახილი,
ქების კორიანტელი.

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.

შემოსულა შემოდგომა,
ქუჩებსა და მოედნებს
მოშრიალე ხის ფოთლები
ფრთოსნებივით მოედვნენ.

შემოდგომის ქარი ჰქრის თუ
გაზაფხულის დარია?
ლამაზები სეირნობენ,
განა მართლა ქარია.


მარჯნის ფერი, ჭარვის ფერი
ქარმა ერთად არია.
ეს კაბების შრიალია,
განა მართლა ქარია.

მზეც ღრუბლების გალავანზე
ლაღად გადმომდგარია.
სიყვარულის სიმღერაა,
განა მართლა ქარია.

შემოსულა შემოდგომა
დოვლათით და ბარაქით
და მასპინძლობს ხელგაშლილი
მთელი თბილის-ქალაქი.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 5 (226) გამოცემის მე-13 წელი
1969 წლის 10 ოქტომბერი



მარჯვენა დაგელოცოთ, მეჩაიეებო!

4 ოქტომბრის გაზეთებმა მკითხველს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება აცნობეს.

ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და საკელმწიფოს ჩააბარეს 230.760 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

გადაჭარბებით შესრულდა არა მარტო საკელმწიფო გეგმა, რომელიც 210.000 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებდა, არამედ წელიწადის დამდეგს აღებული ვალდებულებაც — მოეკრიფათ 215 ათასი ტონა.

ჩაის ასეთი სარეკორდო მოსავალი რესპუბლიკაში პირველად მივიღეთ. ეს წარმატება ერთნაირად გაიწაწილეს აჭარელმა და აფხაზმა მეჩაიეებმა, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთისა თუ ცხაკაიას კლანტაციების მშრომელებმა.

მიღწეულია დიდი გამარჯვება, მაგრამ მეჩაიეებს საქმე არ დაუმთავრებიათ. მკრეფავის მოჭნილ თითებსა და ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ კიდევ ათასობით გუჩჩი ელოდება, ახალი მიწნებია დასაპყრობი.

მარჯვენა დაგელოცოთ, გმირო მეჩაიეებო! კვლავაც გემრავლოთ წარმატებანი!

ქართული ვაზის გენი



გიორგი თუშმალიშვილი,

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამტრესტის მმართველი

ვაზო, შვილივით ნაზარდო... მღერის ქართველი კაცი და პირმშოსავით დასტრიალებს თავს ვენახს. ვინ იცის, რამდენი საუკუნის ისტორია აქვს მათ მეგობრობას. თითქოს ამ ქვეყნად ერთად გაჩნდნენ, უერთმანეთოდ ერთი დღეც არ უცხოვრიათ და ვერც იცხოვრებენო.

ეს ნათქვამი შეიძლება გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტებს სად გავექცევით...

ჩვენში ახლა 1.000-ზე მეტი ჯიშის ვაზი ხარობს, აქედან 496 ადგილობრივია. ქართული მევენახეობის სიამაყეა რქაწითელი. მისგან ევროპული წესით მზადდება ნაზი, ხალისიანი სუფრის სამარკო ღვინოები — „წინანდალი“, „ნაფარეული“, „გურჯაანი“, ხოლო კახური წესით, ქვევრებში დაყენებით რქაწითელისაგან იღებენ ისეთ ძარღვიან, ხოროვან, ვაჟკაცურ ღვინოებს, როგორიც არის „ტიბაანი“, „კარდანახი“, „თელავი“, „კახური“...

რქაწითელისაგან მზადდება აგრეთვე მადერისა და პორტვეინის ტიპის შემაგრებული ღვინოები — „ანაგა“, „კარდანახი“, „საამო“.

შეუდარებელ ღვინოებს იძლევა საფერავის ჯიშის ყურძენი — „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „ყვარელი“, „ქინძმარაული“ — ამ სახელების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია იმისათვის, ვისაც ქართული ღვინის ჭაშნიკი თუნდაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს. აღსანიშნავია, რომ „ქინძმარაული“ მხოლოდ და მხოლოდ ყვარლის რაიონში, ქინძმარაულის გუნაშაურას ნაკვეთებზე მოყვანილი ყურძნისაგან იწურება.

ასოფლიოს დეგუსტატორები არაერთხელ მოხიბლულან მწვანე, მწიფე მწვანე, ხინკი, ჩინური, ციცკა, ცოლიკაური, ალადასტური, ჩხავერი, რაჭული თეთრი, ოჯალეში, უსახელაური, ალექსანდროული და სხვა ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინოებით.

უველა ქვეყნის მევენახე დიდ პატივს სცემს კაბერნეს, პინოს, მალბეკისა და ალიგოტეს ჯიშებს. საქართველო ამ ვენახების მეორე სამშობლოდ იქცა და ქართველი გლეხის მზრუნველობით კარგ მოსავალსაც იძლევა.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მევენახეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მის წარსულზე, დღევანდელ დღესა და მომავალზე ძალზე ბევრი შეიძლება დაიწეროს, მაგრამ მე, როგორც სამტრესტის წარმომადგენელი, ამჯერად მყოთხველს ყურადღებას ღვინის მრეწველობაზე შევაჩერებ.

მსოფლიოს სამოცამდე ქვეყანაში იგზავნება ქართული ღვინო, შამპანური და კონიაკი სამტრესტის საფირმო მარკით. სამტრესტი სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელსაც საქართველოში მოუვიანილი ღვინის მიღება და გადამუშავება ევალება. ყოველწლიურად ქართველი მეღვინეები მევენახეებისაგან 300 ათასამდე ტონა ყურძენს იბარებენ და ამუშავებენ. მძლავრი თანამედროვე ტექნიკა, რომლითაც სამტრესტის ღვინის ქარხნებია აღჭურვილი, წარმატების გარანტიას იძლევა. მეღვინეობის სრულყოფილი ტექნოლოგია კი უზრუნველყოფს ჩინებული ღვინოებისა და კონიაკების დამზადებას.

სამტრესტის დიდი კოლექტივის ყოველი წევრის მთავარი საზრუნავია შეუნარჩუნოს ჭართულ ღვინოს ის კეთილშობილება, სურნელება და არომატი, რომლითაც ასე უხვად არის დაჯილდოებული, არ დაუკარგოს ის ძალა და მხურვალება, ქართველ გლეხს უყრძნის ყოველ მეევენახეში რომ ჩაუქსოვია. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე სამტრესტი ოქროს მედლით დაჯილდოვდა, ხოლო ღვინოებს, რომლებიც ჩვენს მადლიან მიწაზე მოყვანილი ყურძნისაგან მზადდება, მარტო უკანასკნელ წლებში საერთაშორისო თუ საკავშირო გამოფენებზე 70-ზე მეტი ოქროსა და ვერცხლის მედალი მიეკუთვნათ.

დღითიდღე იზრდება სამტრესტის მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. მარტო თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა ყოველწლიურად 10 მილიონ ბოთლ შამპანურს უშვებს, 700 ათას დეკალიტრს აღემატება კლასიკური ფრანგული წესით დამზადებული კონიაკის რაოდენობა, რომელსაც წელიწადის მანძილზე კონიაკის ქარხანა მომხმარებელს აწვდის.

რადგან კონიაკის წარმოებას შევეხე, მინდა ორიოდე სიტყვით საქართველოში მისი ფუძემდებელი — დავით სარაჯიშვილიც მოვიხსენიო, რომლის ხალხმრავალი იუბილე ქართველმა საზოგადოებრიობამ შარშან დეკემბერში გადაიხადა.

დიახ, სწორედ ამ მამულიშვილის მონდომებით ჩაეყარა საფუძველი 80 წლის წინათ ჩვენში კონიაკის წარმოებას. კონიაკის დამზადების კლასიკურ მეთოდებს წარმატებით დაეუფლნენ და დავით სარაჯიშვილის წამოწყებულ საქმეს წლების მანძილზე უძღვებოდნენ ვახტანგ ციციშვილი და ნიკოლოზ გაბაშვილი.

თვალს ხიბლავს ალაზნის ველსა და კავკასიონის კალთებზე შეფენილი ზვრები, გულს ახარებს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმის სერებსა და გორაკებზე ხალიჩასავით გადაშლილი ვენახები, აღტაცებას ვერ მალავ, როდესაც თბილისისა და გორის ორსავე მხარეს თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულ ახალ ზვრებს ჩაუვლი... სადაც უნდა მიხვიდეთ, თბილისი იქნება ეს, გურჯაანი, წინანდალი, ვოლგოგრადი, მოსკოვი, ლენინგრადი თუ სხვა ქალაქი, ქარხნები, რომლებიც სამტრესტს ეკუთვნიან, იმ მძლავრ საწარმოდ წარმოგიდგებათ, რომლებშიც ჩვენი საუკუნის მაჯისცემა იგრძნობა.

უოველივე ზემოთქმულისაგან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ — საქართველო მეღვინეობის კლასიკურ ქვეყნად იქცა.

ეს ფაქტი ჯერ კიდევ 1962 წელს აღიარეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობა-მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესი გაიმართა. 1965 წელს კი საქართველო ღვინის, კონიაკისა და შამპანურის საერთაშორისო კონკურსის მასპინძელი გახლდათ.

ახლა ჩვენს მადლიან მიწაზე რთველია გაჩაღებული — ქართველი კაცის დიდი ზეიმი. ზვრებიდან დაძრულ ბარაქას, გლეხკაცის ნაამაგარს ფართოდ გაუღეს კარი სამტრესტის ქარხნებმა. კიდევ ცოტაც და ის, რაც ახლა მაჭრად იწოდება, ღვინოდ იქცევა, ღვინოდ, რომლის სითბოსაც მილიონობით ადამიანი მოუხიბლავს და ახლაც ბევრს დაალოცვინებს მის მომყვანსა და დამწურავს.



საერთაშორისო სემინარები, სიმპოზიუმები

● 26 სექტემბერს თბილისში, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით მუშაობას შეუდგა საერთაშორისო სემინარი, რომლის დღის წესრიგშია წყალვარდნის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. სემინარში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ევროპის, აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გიორგი ქობულიამ მსმენელებს გააცნო რესპუბლიკის წყალვარდნის საწინააღმდეგო ნაგებობათა მშენებლობის დაპროექტებისა და ექსპლუატაციის გამოცდილება, მიმოიხილა საქართველოს წყალთა მეურნეობა.

სემინარი 18 დღეს იმუშავებს.

◆

● სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საუწყებოთაშორისო გეოფიზიკურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ ამას წინათ თბილისში გამართეს საერთაშორისო სიმპოზიუმი ზედა ატმოსფეროსა და გარემომცველი კოსმოსური სივრცის ოპტიკურ თვისებებზე.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის თვალსაჩინო სპეციალისტები.

◆

● თბილისში 7 ოქტომბერს გაიხსნა ბოტანიკოსთა IV საკავშირო ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უველა რესპუბლიკის გამოჩენილი ბოტანიკოსი-მკვლევარები.

საქართველო შემთხვევით როდია ყრილობის მასპინძელი. იგი განსაკუთრებულია თავისი შესანიშნავი ბუნებით. თუ რუსეთის დიდ ვაკეზე, ჩრდილოეთ კავკასიიდან ბალტიის ზღვამდე მცენარეთა 2.500 სახეობა გვხვდება, საქართველოში მათი რიცხვი 5.000-ზე მეტია.

ყრილობის ერთი დღე ქართველ ბოტანიკოსთა მოხსენებებს დაეთმო. სხვა სერიოზულ საკითხებთან ერთად ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ბოტანიკოსთა მსოფლიო კონგრესის მომავალი სხდომის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირში გაიმართება.

ყრილობა დღეს ამთავრებს მუშაობას.

◆

● ერთი კვირა მუშაობდა თბილისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სემინარი „სტატისტიკა დაგეგმვისათვის“.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობას, სტატისტიკოსთა კადრების მომზადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტის მუშაობას. იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდების სახელობის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

სემინარის მონაწილენი მიიღო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ.

ადამიანები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ეცნობიან ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ძეგლებს.

ასეთი ძეგლი კი ბევრია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ვლადიმერ ლენინი და ნადეჟდა კრუპსკაია 1908 წლის დამლევს ჟენევიდან პარიზში ჩავიდნენ, სადაც გაზეთ „პროლეტარის“ რედაქცია გადაიტანეს.

გაჩერდნენ სასტუმრო „ოტელ დე საბლიეში“ სენ მარსელის ბულვარზე და მაშინვე დაიწყეს ბინის ძებნა. იშოვნეს ვიდეც — სენის მარცხენა ნაპირზე, ბონიეს ქუჩაზე. აქ რამდენსამე თვეს ცხოვრობდნენ, მაგრამ ბინის სიძვირის გამო იძულებული გახდნენ ადგილი გამოეცვალათ.


მალე ლენინი და კრუპსკაია მარი-როზის ქუჩაზე № 4-ში დასახლდნენ. ამ ქუჩას პარიზელები კარგად იცნობენ. გერმანელი ოკუპანტებისაგან საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, 1945 წლის აპრილში, ლენინის დაბადების დღეს აქ მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა...

რუხი შვიდსართულიანი სახლის კედელზე გაკრულია მარმარილოს დაფა: „ლენინი (1870 წლის 22 აპრილი—1924 წლის 21 იანვარი) ცხოვრობდა ამ სახლში 1909 წლის ივლისიდან 1912 წლის ივნისამდე“.

სახლის პატრონი ალმაცერად უყურებდა მდგმურებს, რომლებიც უბრალოდ და მომჭირნედ ცხოვრობდნენ. მთელ მათ ავლადიდებას რამდენიმე სკამი, ორი რკინის საწოლი, ჭურჭელი და წიგნები შეადგენდა. გამოსაჩენ ადგილას იდო ჭადრაკი. მეპატრონეს არ მოსწონდა, რომ ახალი მდგმური ხშირად იღებდა „საეჭვო“ პირებს.

დილ-დილობით ლენინს გამოჰქონდა ძველთაძველი ველოსიპედი.

მარი-როზი 4



ეს განსაკუთრებით აწუხებდა სახლის პატრონს. არც ერთი სოლიდური, ფულიანი ჯენტლმენი არ დადიოდა ასეთი მანჭანით. რა სახსრებით ცხოვრობს ბატონი ულიანოვი? შეუძლია თუ არა რეგულარულად გადაიხადოს ბინის ჭირა? და, საერთოდ, რას აკეთებს იგი?... ეს კითხვები არ ასვენებდა მეპატრონეს და ყოყმანობდა, არ უნდოდა მდგმურის გაჩერება.

საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა; ლენინის ერთ-ერთი მეგობარი, გონებამახვილი სტაბის მუშა მოგონილი სახაბით შეხვდა სახლის პატრონს და როდესაც ამ უკანასკნელმა ეჭვი გამოთქვა მდგმურების გადამხდელუნარიანობაზე, მან დამაჯერებლად მიუგო: „მხედველობაში იქონიეთ, რომ გარეგნობა მაცდურია. ბატონი ულიანოვი მდიდარი კაცია. რუსეთში დიდი ჭონება აქვს და მოგებასაც კარგს იღებს. საკუთარი ანგარიშიც კი აქვს გახსნილი ბანკში — „ლიონის კრედიტში“.

სახლის პატრონმა შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ ასეთი საბანკო ანგარიში ნამდვილად არსებობდა. ამ დღიდან, როგორც თვითონ, ისე მეკარე ჭალი მოკრძალებით ექცეოდნენ მდგმურებს. საბედნიეროდ, მათ ბოლომდე ვერ გაიგეს, რომ ეს ფული ეკუთვნოდა პარტიას და არა ლენინს.

სახლ-მუზეუმში გამოფენილი დოკუმენტები დამაჯერებლად მოგვითხრობენ ლენინის მოღვაწეობის პარიზის პერიოდზე.

წინა ოთახში მარჯვნივ საწერი მაგიდაა. საგარძელი მიდგმულია ხის თეთრ მაგიდასთან. მწვანე დაბალი სავარძელი გაჭედლების ნიგნებით. ორი ფანჯარა ქუჩასა და ბაღში გადის.

აქ მრავალი დოკუმენტის ფოტოპირი და ფოტოსურათია. ყურადღებას იქცევს იმ ლექციების ფოტოპირი, რომლებიც ლენინმა 1903 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა რუსულ უმაღლეს სკოლაში წაიკითხა. აქვეა ფოტოსურათი პარიზის ალეების ქუჩაზე მდებარე სახლისა, სადაც მოეწყო რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენცია. მინის ქვეშ მოთავსებულია იმ წერილის ფოტოპირი, რომელიც ლენინმა 1909 წლის 12 იანვარს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გაუგზავნა და სთხოვა, მიეცა მისთვის მკითხველის ბილეთი. იგი დაწერილია ფრანგულად. აქვე იმ ბიბლიოთეკის სურათია, სადაც ლენინი თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებდა.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან კედელთან, სადაც გამოფენილია გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომრის ფოტოპირი, ლენინის პორტრეტები სხვადასხვა წლებში. აქვეა საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მარქსის სიძის პოლ ლაფარგის პორტრეტი და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი.

მეორე ოთახშიც ბევრი საინტერესო საბუთია. ჩარჩოში მოთავსებულია „რაბოჩაია გაზეტას“ პირველი ნომერი, რომელიც პარიზში გამოდიოდა. აქვეა „ლუმანიტეს“ პირველი ნომერი.

მარი-როზის ქუჩაზე ლენინთან ხშირად მიდიოდნენ რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები — ემიგრანტები ან რუსეთიდან სპეციალურად ჩასული რევოლუციონერები. მიდიოდნენ ბოლადთან, რომ მიეღოთ მისი მითითებები, რჩევა-დარიგება. 1911 წლის გაზაფხულზე ამ სახლში ლენინს ესტუმრა დიდი მწერალი მაქსიმ გორკი.

ბევრ ქართველ რევოლუციონერს ჰქონდა ბედნიერება პირადად შეხვედროდა ლენინს პარიზში, ესაუბრა მასთან. აქ, მარი-როზის ქუჩაზე მან განსაკუთრებული ყურადღებითა და გულთბილობით მიიღო უშიშარი ქართველი რევოლუციონერი სერგო ორჯონიკიძე.

ლენინს სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა პარიზიდან ხელმძღვანელობის გაწევა „პრავდისათვის“, რუსეთის მზარდი რევოლუციური მოძრაობისათვის. ამიტომ 1912 წლის ივნისში იგი ოჯახით რუსეთთან უფრო ახლოს — კრაკოვში გადავიდა საცხოვრებლად.

ფილიპე მახარაძე,

უურნალისტი

უიარაღოს ნეშტი — დიდუბის პანთეონში

ორმოცი წლის წინათ, 1929 წელს გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ყველასათვის საყვარელი მოთხრობის „მამელუკის“ ავტორი კონდრატე თათარიშვილი, რომელიც მწერლობაში უიარაღოს სახელით არის ცნობილი. მწერლის ნეშტი დღემდე განისვენებდა ვერის ახალ სასაფლაოზე.

და აი 28 სექტემბერს „მამელუკის“ ავტორის ნეშტი ქართველმა მწერლებმა გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

აქ შეიკრიბნენ ქართველი მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები, უიარაღოს ნიჭის თაყვანისმცემლები, აქ იყვნენ მწერლის მშობლიური კუთხის ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმნის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

უიარაღოს ახალგაჭრილ საფლავთან მოგონებით გამოვიდა მწერალი დემნა შენგელაია.

ვაზისა და ღვინის სახლი

ქიდევ ერთი ნაგებობა დაამშვენებს ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს. მალე ელბაქიძის დაღმართსა და სანაპიროს კუთხეში აღიმართება ვაზისა და ღვინის სახლი. პროექტის ავტორი და მშენებლობის მთავარი არქიტექტორია ლევან ჯანელიძე.

ეს იქნება ორსართულიანი ნაგებობა. მისი ძირითადი ნაწილი მოთავსდება ნაბევარსარდაფში, სადაც გაიყიდება ღვინო კასრებიდან და ჭევრებიდან. აქვე იქნება საგამოფენო დარბაზები. მეორე სართულზე მოთავსდება კინოსალექციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო და მეორე დიდი საჭაშნიკო დარბაზი.

შენობის გარეთა ხედი გადაწყვეტილია თანამედროვე არქიტექტურის უბრალო და მონუმენტურ სტილში.


პალეოგრაფიაში

ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ მაინის ფრანკფურტში აღინიშნეს ცნობილი საკონცერტო დარბაზის „პალმენგარტენის“ 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართა საიუბილეო კონცერტი, რომელიც მოაწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. პროგრამაში იყო პეტრე ჩაიკოვსკის — „მეორე სიმფონია“, დიმიტრი შოსტაკოვიჩის — „კონცერტი ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად“ (ორივე ნაწარმოებს დირიჟორობდა ჰელმუტ შტაინბახი) და ქართველი კომპოზიტორის რევაზ გაბიჩვაძის ახალი ნაწარმოები — „კამერული სიმფონია ცხრა ინსტრუმენტისათვის“, რომელსაც ავტორი დირიჟორობდა.

ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა რევაზ გაბიჩვაძის კამერულ სიმფონიას. გაზეთი „ფრანკფურტერ ნოიე პრესი“ წერდა: „...კომპოზიტორი მხარდამხარ მიჰყვება მეოცე საუკუნეს და მუსიკაში ახალ შესაძლებლობებს გადაგვიშლის ისე, რომ უარს ამბობს სტანდარტული ხერხების გამოყენებაზე“.

გაზეთი „აბენდპოსტ-მახტაუზგაბე“ აღნიშნავდა, რომ „...პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის ნაწარმოების — „კამერული სიმფონია 9 ინსტრუმენტისათვის“ — პირველი შესრულება დასავლეთ გერმანიაში. ამ ნაწარმოებს თვით ავტორი დირიჟორობდა, რომელიც მრავალრიცხოვანი თაიგულითა და ერთსულოვანი ტაშით დაჯილდოვეს“.





ფიგნის თარო

გამომცემლობა „მერანმა“ გამოუშვა გრიგოლ აბაშიძის რომანის „უორნალის“ პირველი ნაწილი. აბაშიძის ახალი რომანი ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას ასახავს. მისი გმირები არიან საბჭოთა ახალგაზრდები. მათი სულიერი ჩამოყალიბება და დავაჟკაცება სამამულო ომის წინა პერიოდში ხდება.

წიგნის რედაქტორია გრიგოლ ჩიქოვანი, მხატვარი — თენგიზ სამსონაძე.

• • •

„ძველი საქართველოს ფოლადის გული“ — ასეთი სათაურით „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ივანე შაიშმელაშვილის წიგნი, რომელიც მდიდარ მასალას აწვდის მკითხველს რომის, პონტოსა და ამიერკავკასიის სამეფოთა შორის დამყარებულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობაზე ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში.

• • •

არაბული ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშს, ხალხურ ზღაპრებს „ათას ერთ ღამეს“ 8 ტომად გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“. უკვე გამოვიდა პირველი ტომი. თარგმანი შესრულებულია არაბულიდან ნანა ფურცელაძის მიერ, წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა.

• • •

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა კრებული — „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“, I ნაწილი. კრებულში შესულია ქართველ ფილოსოფოსთა შრომები როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთის ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე.

• • •

„სტალინგრადს ახსოვს ქართველი გმირები“, ასეთი სათაურით გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ზურაბ ლომიძის დოკუმენტური მოთხრობების კრებული. წიგნში, სტალინგრადის დიადი ეპოპეის მართებულად ასახვასთან ერთად, ავტორი მეტად საინტერესო ამბებს აგვიწერს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების გმირულ შემართებაზე, მათ დიდ წვლილზე საბჭოთა არმიის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ტელევიზიამ საფრანგეთიდან ფირი მიიღო. იგი მაშინვე უჩვენეს ცისფერი ეკრანით. ფრანგი მეგობრების საჩუქარი მოგვითხრობს პარიზში, ლუვრის სასახლის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის ამბავს.

როგორც ცნობილია, ეს გამოფენა წლეულს 6 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ანდრე მალრომ.

საგამოფენო ექსპოზიციის მომზადებასა და გახსნასთან დაკავშირებით პარიზში მიწვეული იყვნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზურაბ ლეჟავა, ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორი გიორგი მაჭაცარია.

გამოფენამ საფრანგეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისა და პრესის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

საფრანგეთიდან გამოგზავნილ ფირზე სწორედ გამოფენის გახსნის ცერემონიალი არის აღბეჭდილი. ჩანს, რა დიდი ინტერესით ეცნობიან სტუმრები მხატვრის ნამუშევრებს, ეკითხებიან ამირანაშვილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლუვრში არ არსებობს ერთი მხატვრის ფართოდ წარმოდგენის ტრადიცია — შეიძლება მხოლოდ 20-25 ნაწარმოები გამოფინონ. ამჯერად კი ოთხი დარბაზი დაუთმეს ფიროსმანაშვილის 85 ტილოს. მანამდე, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მხატვრის მხოლოდ 55 ქმნილება გაიცნეს. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ჩვენი გენიოსი შემოქმედის მიმართ საფრანგეთის დიდ დაინტერესებაზე.

გაზეთმა „ფიგარომ“ აღნიშნა, რომ ქართველმა მხატვარმა სადა ენით, უშუალოდ ასახა ძველი თბილისის ყოფაცხოვრება, თავისი ქვეყნის ბუნების სილამაზე, ცხოველთა სამყარო, საყვარელი სამშობლო, რომელიც თავისი სილამაზით ხიბლავს ფრანგების გულს. ჟურნალ „ლეტრ ფრანსეზში“ გულთბილი წერილი უძღვნა ფიროსმანს მწერალმა ლუი არაგონმა. სხვათა შორის, მის პირად კოლექციაში ინახება დიდი ქართველი მხატვრის სურათი.

„თბილისიდან გამოგზავნილი ტილოები გვაცვიფრებენ, უპირველეს ყოვლისა, თავისი მრავალმხრიობით, — აღნიშნავს „ლუმანიტეს“ მიმომხილველი უან როლენი. — ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი რეალიზმში, მისით იკვებება და მასვე უბრუნებს საოცრად უტყუარ თემათა მთელ გამოფენას“. წერილის ავტორი აბაასიათებს შემოქმედის მნიშვნელოვან ტილოებს და დასძენს: **„ხელობა ფიროსმანაშვილისა, რომელსაც არ მიუღია სპეციალური განათლება, სრული ანტიპოდია ისეთი ფაქიზი „პრიმიტივისტებისა“, როგორიც არიან რუსო, გოგენი... და თუმცა მას არ მიუღია სპეციალური განათლება, შეძლო შეექმნა საკუთარი მეთოდი ხელოვნებაში“.**

ადრე, ჟურნალ „კურიერ იუნესკოში“ ივან კეში აღნიშნავდა: **„ფიროსმანაშვილას შემოქმედება შორდება საქართველოს ფარგლებს, ჭეშმარიტი ადამიანური ბუნებითა და ნიჭით კაცობრიობის ხელოვნების საგანძურს ეკუთვნის“.** საბჭოთა მწერალმა კონსტანტინე სიმონოვმა „დაჭრილი ირმის“, „ირემი ნუკრით წყალსა სვამს“ — ნახვის შემდეგ განაცხადა: **„მხატვარმა შექმნა ამ ცხოველის სახე მრავალი წლით უფრო ადრე, ვიდრე იგი უოლტ დისნეის მიერ შექმნილ „ბემბის“ სახით ეკრანის საშუალებით აღიბეჭდებოდა ყველა ქვეყნის ბავშვთა ცნობიერებაში“.**

პარიზის შემდეგ ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენამ ვენის სახვითი ხელოვნების აკადემიის ოთხ დიდ დარბაზში გადაინაცვლა.

ავსტრიის პრესა აღტაცებით წერდა ქართველი ოსტატის შემოქმედების თავისებურებაზე, მის უტყუარ ეროვნულ სახეზე. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ფიროსმანაშვილის შემოქმედება გამსჭვალულია უბრალო ადამიანისადმი დიდი სიყვარულით, ჭეშმარიტი სიბრძნითა და გასაოცარი ოსტატობით.

ინტერესი ფიროსმანის ტილოების მიმართ დღითიდღე იზრდება. ჭართველი მხატვრის სურათების ექსპოზიცია ითხოვეს მსოფლიო ხელოვნების სახელგანთქმული ცენტრები. მიიღებულია მიწვევა იტალიიდან, იუგოსლავიიდან. ნოემბერში, ქართული ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად, გერმანიაში მოეწყობა დიდი ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენაც.

როგორც ჩანს, ფიროსმანაშვილის გამოფენას დიდი ინტერესი გამოუწვევია პოლონეთშიც. ჩვენს ხელთ არის ვარშავული ჟურნალი „მე და შენ“, რომელშიც ხუთი გვერდი უჭირავს ტერეზა კულჩინსკას ნარკვევს „ფიროსმანაშვილის საკითხისათვის“.


პოლონურ ჟურნალ „ფოტოგრაფიას“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში 11 გვერდი აქვს დათმობილი შიმონ ბოიკოს წერილსა და ერმაკოვის 16 ფოტოს. „ძველი თბილისი ერმაკოვის ფოტოებში“ — ასე ჰქვია წერილს. ბოიკო აღნიშნავს, რომ ვარშავაში ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, თბილისს ეწვია და ეთნოგრაფიულ მუზეუმში იპოვა ძველი თბილისის იმ ხედების მსგავსი სურათები, როგორიც ქართველ რუსოს თავის ტილოებზე აუსახავს. ეს არის ფოტოგრაფ ერმაკოვის ფოტოები. ეს შესანიშნავი შემოქმედი ამ 70-80 წლის წინათ ცხოვრობდა თბილისში და იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ადათ-წესების ფოტოდოკუმენტების შექმნით უდიდესი ამაგი დასდო შთამომაღლობას, ჩვენს ერს.

ლია მიქაძე

• • •


სურათებზე: ზევით — ავსტრიასა და პოლონეთში გამოცემული ბუკლეტები. ქვევით — ერმაკოვის ფოტო — „მეკუდეები“.

რთველია



„შენ ხარ ვენახი"

ტექსტი იცვლება, მელოდია 3-ჯერ მეორდება რეპრიზამდე



„შენ ხარ ვენახი" ეკუთვნის დავით აღმაშენებლის შვილს დემეტრე მეფეს (1125-1154), რომელიც დამიანეს სახელით მოღვაწეობდა დავით გარეჯის უდაბნოში.

ეს სიმღერა რამდენიმე ვარიანტით არის მოღწეული ჩვენამდე, რომელთაგანაც ყველაზე მეტად გავრცელებულია ვასილ კარბელაშვილის „ცისკარში" მოთავსებული საგალობელი. ქართული ანსამბლი „გორდელა" კი გურულ ბრწყინვალე ვარიანტს მღერის. მოგვყავს ტექსტი ქვაბთახევის მონასტრის ხელნაწერიდან:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული".

კახეთი ახლა რთველით სუნთქავს.

ბარაქიანი შემოდგომა შემობრძანდა ივრისა და ალაზნის ველებში, საზეიმო დღეები დაუდგათ რქადაგრეხილი ვაზის მოამაგე ადამიანებს.

ზეიმი მანავით იწყება. საგარეჯო ხომ კახეთის კარიბჭეა და მანავი — ამ მდიდარ, თვალწარმტაც კუთხეში გადასახედი. ეს სოფელი საქვეყნოდ განთქმული და გახმაურებული სამარკო ღვინის „მანავის მწვანის" ადგილის დედაა.

მანავის ღვინის „სიკეთე" უპირველესად კახეთის მეფეებს სცოდნიათ. აქ ამზადებდნენ მათთვის თავ ღვინოს.

გაზეთ „ივერიის" ცნობით, მეფე თეიმურაზ მეორის სუფრაზე სხვა ღვინო არ ისმებოდა, თუ არა მანავისა. დღესაც შერჩენილი აქვს სახელად „მეფის ზვარი" ერთ საუკეთესო მამულს მანავში. აქვე არის „საცივე მარნის" ნანგრევები. იგივე „ივერია" წერს, რომ მანაველების თავი და თავი საქმე თაობითვე მევენახეობა ყოფილა, რადგანაც ღვინო თურმე ძალზე უხვი და საუკეთესო ღირსებისა სცოდნია.

მანაველებმა წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ვაზის სიყვარული.

1962 წლის სექტემბერი... მევენახეთა და მეღვინეთა X მსოფლიო კონგრესი საქართველოში. აქ შეიკრიბნენ ფრანგი და გერმანელი, ესპანელი და იტალიელი მეღვინეები. კონგრესი იყო ფრიად საქმიანი და ავტორიტეტული. მაშინ „მანავის მწვანემ" ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მისი დიდი ღირსება, ნაზი, სპეციფიკური სასიამოვნო გემო განსაკუთრებით აღნიშნა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა, ფრანგმა მეცნიერმა ბარონმა პიერ ლე რუამ.

ხარობდა „მანავის მწვანის" ადგილის დედა.

„ზეიანი" — ასე ეძახიან ვაზებით დაბურულ ზეგანს. სწორედ აქ არის ის მადლიანი მიწა, რომელიც ვაზს განსაკუთრებულ სურნელებას, გემოსა და ხარისხს მატებს. ორმოცდათექვსმეტჰექტარიან ზვარს შესევიან მანაველები და ხალისით კრეფენ წელიწადის მოსავალს. მათ ხელმძღვანელობს

ვაზი კეთილი

გამოცდილი, საქმის მცოდნე აგრონომი მიხეილ ბექაური. მისი ბრიგადა ყოველთვის სასახელო მაჩვენებლებს აღწევს. შარშანაც თითოეულ ჰექტარზე მოყვანილი 70 ცენტნერი ყურძნისათვის ბრიგადის წევრებმა ჯილდოები დაიმსახურეს. ბრიგადირმაც მიიღო მაშინ ორი ათასი მანეთი.

ბექაურის ბრიგადა არც წლეულს აპირებს პირველობის დათმობას.

სასახელო შრომის მოწმეა ვენახში მხრებგაშლილი, გოლიათივით წამომართული მუხა. ამ მუხას მანაველები „ბექაურის მუხას" უწოდებენ.

ბევრის მომსწრეა „ბექაურის მუხა". დგას მემატიანესავით და თითქოს იმიტომ იცოცხლა ამდენ ხანს, რომ სიბერეში ხელახლა მოენათლათ, მისთვის მშრომელი კაცის სახელი დაერქმიათ.

მანავის საბჭოთა მეურნეობის ზვრები 1.300 ჰექტარზე გადაჭიმულა. მილიონობით ვაზს ყოველდღიური მომვლელი და მოამაგე სჭირდება. მეურნეობა არ იქნებოდა ასე სახელგანთქმული, მხოლოდ ერთი ბექაური რომ იყოს. ისინი მრავალნი არიან. მამა-პაპათაგან გადმოეცათ ვაზის სიყვარული და იგი უფრო გააღრმავეს სპეციალური განათლებით, ერთმანეთის ხელის გამართვით, სოფლის ერთგულებით.

თვალუწვდენ ზვრებში ახლა მევენახეთა ოცდაორი ბრიგადა მუშაობს. რთველი აქვთ ლენინის ორდენოსან მევენახეებს — ვალერიან ბაზერაშვილსა და ივანე ყორღანაშვილს, მამია გოგუაძესა და მიხეილ რევაზიშვილს... მათ არც ჭაბუკები და ქალიშვილები ჩამორჩებიან. ისინი შრომობენ იმ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, რომ ცხოვრობენ სოფელში და უნდა ქმნიდნენ, აშენებდნენ თავიანთი სოფლისა და ქვეყნის სასარგებლოდ.

შემოდგომის მზეს ადრინდელი ძალა დაუკარგავს, ხანდახან ცივზე ნისლი ჩამოწვება, ჩააშავებს მთის კალთებს, მაგრამ ხელაღებით წვიმას ვერ ბედავს — ჯერ ხომ „მანავის მწვანე" იკრიფება!

სატვირთო მანქანები ტატით გამოდიან ვენახებიდან და რაკი შარაზე გამოაღწევენ, სრიალით მიაქანებენ ძვირფას ტვირთს, კეთილი ვაზის მტევნებით ივსება მანავის, ბადიაურის, საგარეჯოს ღვინის ქარხნების ბუნკერები.

იწურება „მანავის მწვანე".

ხარობს ადგილის დედა.

ბევრი შესძლებია „მანავის მწვანეს", თვითონაც ხარობს და ადამიანსაც ახარებს.

ახლო მომავალში კიდევ უფრო გაშლიან მხრებს ზვრები. გაისად 6.500 ტონა ყურძენი უნდა მიიღონ მანაველებმა და საამისოდ 10 ათასი ტონა გამტარუნარიანობის ღვინის ქარხანაც შენდება. მაშინ დაიწყება „მანავის მწვანის" სერიული სამარკო წარმოება.

მანაველები აშენებენ ჰიგიენის სახლს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, მუშათა საცხოვრებელ ბინებს.

სოფელი იქნება უფრო მდიდარი, კეთილმოწყობილი და ლამაზი.

მევენახეებს უფასოდ ექნებათ ელექტროენერგია, აბანო, წისქვილი.

მალე მანაველებს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემაც წამოეშველება. ივრის წყალი გააცოცხლებს ურწყავ ველებს, ასობით ჰექტარ ბარაქიან მიწაზე გაიხარებს უძველესი ქართული ვაზი.

ქართველი კაცი ვაზსა და ღვინოს უხსოვარი დროიდან დიდი პატივით მოსავდა. შვილივით ზრდიდა ვაზს, რწმენის სიმბოლოდ გამოხატავდა, ტაძრების კედლებზე აჩუქურთმებდა, წიგნის თავსამკაულად აგვირისტებდა. ღვინოს უწოდებდა თავანკარას, მხოლოდ სალხინოდ, სამკურნალოდ და სუფრის ლაზათად გამოსაყენებელს.

ღვინოშიც სიკეთეს ეძებდა.

სიკეთეს, მზისა და მიწისაგან ნაბოძებს.

„მანავის მწვანემ" სოფელს სიკეთე მოუტანა. ამიტომ უყვართ გამრჯე ადამიანებს აქაური ვაზი კეთილი.

ჯემალ ქურხული

მზე შინა და მზე გარეთა...

● რეპორტაჟი

რთველია, რთველი დღეს ჩემს ბარაქიან მთა-ბარში. გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, წითელი წყარო, ყვარელი, გორი, ზესტაფონი, ამბროლაური... სადაც უნდა მიხვიდეთ, ყველგან მზე და ზღვა სიხარული დაგხვდებათ.

რქაწითელსა და მწვანეს ქარვისფერი დაედო, საფერავი ჩაშავდა, მევენახეებმაც ხელები დაიმკლავეს და მარნებისაკენ უწყვეტ ნაკადად დაიძრნენ ყურძნით დატვირთული ავტომანქანები. ქვევრებსა თუ ბუტებში ჩქეფს ქარვისფერი და ლალისფერი სითხე. ხარობს მეზვრე, ხარობს მეღვინე...

— ღვინოში ყველაზე მეტი მზეა, გაუმარჯოს ხალხს, რომელმაც იცის ღვინის დაყენება! — გახსოვთ მაქსიმ გორკის ეს სიტყვები? დიდებული ნათქვამია. გაუმარჯოს, ნამდვილად გაუმარჯოს ადამიანებს, რომლებმაც ვაზს შვილის სიყვარული უწილადეს და კაცის ენით ელაპარაკებიან.

— რამდენი წელიწადია, რაც მევენახე გქვიათ?—ვკითხე წინანდალში მევენახეთა ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელს სიმონ ბატიაშვილს და, იცით, რა მიპასუხა?

— ჩვენში ასე როდი ეკითხებიან, კაცის წლოვანებას გაიგებენ და რამდენი წლისაც არის, ვენახშიც იმდენი წელიწადი ექნება ნამუშევარიო.

დავუჯერე, რადგან ჩემი თვალით ვნახე, როგორ ტრიალებდა ზვრებში დიდი თუ პატარა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შინ აღარავინ დარჩენილაო.

ალბათ ვაზის ეს სიყვარულია მიზეზი იმ წარმატებებისა, ჩვენი მევენახეები რომ აღწევენ. აბა სხვა რა ძალა ზრდის ყოველ წელიწადს ზვრების ხვავსა და ბარაქას. თუ შარშან 250 ათასი ტონა ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს, წლეულს 300 ათასი ტონის მოკრეფას ვარაუდობენ ქართველი მევენახეები.

— წინ რა დაგვიდგება. ჩაის მკრეფავებმა თუ შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა, ჩვენ რაღა ხელები შეგვეკვრება, — კახური პირდაპირობით ამბობს სიმონ ბატიაშვილი და თავის ბრიგადაზე მესაუბრება: 50 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული რქაწითელი და კაბერნე, შარშან 107 ტონის ნაცვლად 219 ტონა ყურძენი ჩავაბარეთ, წელს ალბათ 350 ტონასაც არ დავჯერდებით. ყოველი ვაზის ძირში დღეში ხუთჯერ მივდივართ. შეწამვლას არ ვაკლებთ და სასუქს, ხვნასაც დროზე ვატარებთ და სხვლასაც. თავზე ვევლებით. ადრე სეტყვა გვმტრობდა, ახლა ისიც უკან იხევს. არასოდეს მომხდარა, ჩემი ბრიგადის წევრებს — ლენინის ორდენის კავალერს გიორგი დავითაშვილს, რაიონული საბჭოს დეპუტატს ნაზი ვეფხიშვილს, ანდრო კილაძეს, ციური ბატიაშვილს, ვახტანგ ახალმოსულიშვილს, ომარ ბეჟიაშვილს, ალექსი დავითაშვილს გეგმები ერთიორად, ერთისამად არ შეესრულებინოთ. შრომობენ და უფასდებათ კიდეც. მათი თვიური ხელფასი 200-250 მანეთს აღწევს. ახლა პრემიის სახით რამდენს იღებენ...

ვაზს უთქვამს: ნუ მჩაგრავ, ნუ დამაობლებ, მალხინე და გალხენო. ჰოდა, ასე ერთმანეთის სიყვარულში გადის წლები. საუფლისწულო მამულში მოყვანილი ყურძნისაგან დაწურული წინანდალი და თელიანი ხალისსა და სიცოცხლეს მატებს ყველას, ვინც მას ტუჩთან მიიტანს.

300 ათასი ტონა ყურძნიდან, ქართველ მევენახეებს რომ აქვთ დასაკრეფი, კახეთზე 150 ათასი ტონა მოდის. ეს ციფრი თვალნათლივ მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი საქმე აკისრიათ ამ მადლიანი კუთხის მშრომელებს.

თუ გინდა გაიგო, როგორი რთველია კახეთის ზვრებში, ჯერ გურჯაანის ღვინის ქარხანას უნდა მიაშურო. და თუ იქ ყველაფერი წესრიგზე დაგხვდა, შეგიძლია დამშვიდდე — კახელები აღებულ ვალდებულებას შეასრულებენ. ამ დაუწერელმა კანონმა ჩვენც გურჯაანის ღვინის ქარხანაში მიგვიყვანა.

— რთველი? ჩინებულია.—გვეუბნება კახეთის უპირველესი ქარხნის დირექტორი გიორგი ზარდიაშვილი და შიგნით გვეპატიჟება. ვათვალიერებთ ქარხნის უზარმაზარ საამქროებს, ღვინით სავსე ბუტებს, კასრებსა თუ ქვევრებს და ვგრძნობთ, კახელებს კარგი რთველი დასდგომიათ. ასე გვგონია, ყველაფერი ყურძნის წვენს აუვსია, ზვრებიდან კი მანქანები უწყვეტ ნაკადად მოდიან და მოდიან. — 5 ათასი ტონა მიღებულია. ერთ ამდენს ალბათ კიდევ მივიღებთ, — გვეუბნება მასპინძელი და დასძენს: — ახლა ქარხანაში, არც მეტი არც ნაკლები, 20 მილიონი ლიტრი ღვინო იქნება. შემდეგ მოწინავე მეღვინეები გურამ ნიკოლაძე, კუკური ქოროღლიშვილი, მერი ბიკაშვილი გაგვაცნო, — მათი დამსახურებაა, ჩვენი ქარხნის ნახელავმა „კახურმა", „გურჯაანმა", „ტიბაანმა" ასე შორს რომ გაითქვა სახელიო.

— როგორია ყურძნის ხარისხი, როგორ წარმოებს მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვა? — ახლა მეღვინეებს მივმართეთ კითხვით.

—ხარისხი კარგია,—გვეუბნება მერი ბიკაშვილი,—შაქრიანობა უმეტესად 20-22 გრადუსს აღწევს. მოსახლეობა ყურძენს სიამოვნებით გვაბარებს, კილოგრამში ათი შაურის მიღება ყველას ხელს აძლევს.

საკარმიდამო ნაკვეთებზე ცოტა ყურძენი როდი მოჰყავთ კახელებს და, როგორც წესი, ძირითადად სახელმწიფოს აბარებენ. მაგალითად, ვახტანგ აჩუაშვილმა სახელმწიფოს 2,5 ტონა ყურძენი მიჰყიდა, გურამ ზარდიაშვილმა — 2 ტონა, თემურ ბატიაშვილმა — 1,8 ტონა... რაღა აზრი აქვს ყურძნის გაყიდვას ბაზარში, ან კიდევ მის დაწურვას სახლში, თუ ქარხანა აქვე სარფიან ფასებში ჩაიბარებს. რა თქმა უნდა, სახმელად და სახარჯოდ რომ ეყოფა, იმდენ ღვინოს ქართველი კაცი ყოველთვის დაიტოვებს თავისთვის.

ახლა რესპუბლიკის გაზეთები ყოველდღიურად ბეჭდავენ ცნობებს რთველის მიმდინარეობაზე. რუბრიკით — „300 ათასი ტონა ყურძნისათვის!" — ბევრი სასიხარულო ცნობის ამოკითხვა შეიძლება. პირველი, ვინც სამშობლოს თავის წარმატებებზე უპატაკა, წითელი წყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე ალექსი გიგაური იყო. მან გეგმით გათვალისწინებული 56 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

წლევანდელი მოსავლით კმაყოფილი არიან თელავის რაიონის სოფელ სანიორის მკვიდრნიც. კოლმეურნეობამ ამ რთველზე სახელმწიფოს 1.207 ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდოს, ხოლო აქაური მევენახეები 1.400 ტონა ყურძნისათვის იბრძვიან. ყურძნის მიღება-გადაზიდვაზე მოუცდენლად მუშაობს კოლმეურნეობის 9 ავტომანქანა, რომლებსაც ზვრების ბარაქა სწრაფად გადააქვთ ნაფარეულის ღვინის ქარხანაში.

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მკვიდრნიც უხვ შემოდგომას ზეიმობენ. 250 ჰექტარზე გადაჭიმული ზვრები საკადრისად აანაზღაურებს წელიწადის მანძილზე გაწეულ შრომას.

რთველი აქვთ გარდაბნელ მევენახეებსაც, ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ქარხანაში უკვე მიიტანეს 200 ტონა ყურძენი, დიღმელებმა — 450.

არც მცხეთის რაიონის მშრომელები ჩამორჩებიან. დაწინაურდნენ ქსოვრელი, გალავნელი და მუხრანელი მევენახეები.

...მზე ჩამდგარა ჩემი სამშობლოს მთა-ბარში. რთველია, რთველი საქართველოში! ყველგან მაჭრის სუნი ტრიალებს, საქორწილო, სტუმრისათვის მისართმევ, ლხინსა და ბედნიერებაში დასალევ ღვინოს წურავს ქართველი კაცი.


რეზო მაჭავარიანი

● რეპორტაჟი

საქართველოში!









სურათებზე:


- გურჯაანის ღვინის ქარხნის დირექტორი ბიორბი ზარდიაშვილი და მთავარი მეღვინე გურამ ჯვარშვილიშვილი ამოწმებენ ღვინის ხარისხს;
- არგვეთელი მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი დომენტი ლელაძე;
- წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მევენახეობის მე-4 ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ბატიაშვილი;
- — მერამდენე შემოდგომას ეგებებით, ბატონო? — ვეკითხებით სოფელ ნატანების მკვიდრს მსოფლიო დოლიძეს.

  — ჩემს წლოვანებას რას კითხულობთ, თქვენ ღვინის ჭაშნიკი გასინჯეთ, — ყანწს გვაწვდის მასპინძელი;
- გურჯაანის ღვინის ქარხნის ეზოში.
- ყვარლის მთებში ღრმად შეჭრილა კახური ღვინის საცავი. კლდეში გამოკვეთილი გვირაბების საერთო სიგრძე 8 კილომეტრს აღემატება. მის სარდაფებში ინახება 20 მილიონი ლიტრი ღვინო. „ყვარელი“, „გურჯაანი“, „ნაფარეული“, „ქინძმარაული“ და სხვა სამარკო ღვინოები სამი წლით იბუდებენ აქ, შემდეგ კი სუფრაზე გადაინაცვლებენ...

სურათზე ხედავთ ამ უნიკალური ნაგებობის ერთერთი გვირაბის ჭიშკარს.

სიმონ კილაძის, იოსებ დავითაშვილისა და ოთარ თურძიას ფოტოები.





ᲨᲔᲜ ᲒᲘᲒᲐᲚᲝᲒ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲕ...

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ! ᲓᲐᲓᲒᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ — ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲕᲔ. ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲮᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲣᲜᲭᲚᲣᲚ ᲑᲐᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲨᲘᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ. ᲒᲐᲩᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲐᲕᲚᲔᲑᲔᲜ ᲩᲣᲠᲩᲮᲔᲚᲔᲑᲡ, ᲐᲮᲛᲝᲑᲔᲜ ᲩᲘᲠᲡ, ᲑᲔᲠᲗᲔᲜ ᲙᲐᲙᲐᲚᲡ, ᲡᲢᲔᲮᲔᲜ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲡ. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲐᲮᲘᲚᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ. ᲓᲘᲓᲔᲑᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲗᲕᲐᲚᲔᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲪᲔᲠᲝᲓᲔᲜᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲧᲠᲫᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲮᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲩᲣᲠᲩᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲔᲜ.

ᲐᲡᲔᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲚᲘᲗ.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

დაშაქრდა ყურძნის
მტევანი,
დახეთ, რა გემრიელია!
ჭირიმე, შენი ჭირიმე,
რა სიხარულის
რთველია!
კაკალიც ბევრი მოსულა,
ვაშლი და კომში
ბლომაა!
ჭირიმე, შენი ჭირიმე,
რა კარგი შემოდგომაა!

ᲚᲘᲓᲘᲐ ᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘᲫᲔ



ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ


რა კარგია შემოდგომა,
რა კარგია რთველი...
ჩვენ ყოველთვის
რთველის მოსვლას
სიხარულით ველით.
რა კარგია ფელამუში,
რა მსუყე და ტკბილი,
ამოვავლეთ
ჩურჩხელები
ნიგვზისა და თხილის.
დავამზადეთ ბადაგი და
ბლომად ტკბილის
კვერი...
რა კარგია შემოდგომა,
რა კარგია რთველი.

ᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

• • •

რა კარგია შემოდგომა,
დივლი დალალეო!
ვაშლი, მსხალი და
ატამი,
დივლი დალალეო!
ჩურჩხელები, ლეღვის
ჩირი,
დივლი დალალეო!
ყველაფერი ჩვენთვის
არის,
დივლი დალალეო!

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ



ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ — ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ

ᲧᲝᲩᲐᲚᲘ ᲚᲐᲚᲘ

ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ თქვენსავით კუდრაჭა გოგონა. მას სახელად ლალი ერქვა. ძალიან უყვარდა შემოდგომა.

შემოდგომაზე ერთ კვირა დღეს შეარჩევდნენ დეიდები, მამიდები, სხვა ნათესავები და მოვიდოდნენ სტუმრად. რა არ მოჰქონდათ მისთვის. ზოგი ლამაზ ყვავილებიან კაბას მოუტანდა, ზოგი ზიზია ფეხსაცმელებს, კამფეტებს ხომ ანგარიში არ ჰქონდა... იმ დღეს იწყებოდა რთველიც.

მაშინაც ასე მოხდა. მოვიდნენ და საჩუქრებით გაახარეს გოგონა. ერთ კვირა დღეს უნდა მოესწროთ ყველაფერი. დედამ თათარის მოდუღება დაიწყო, ლალიც ქვაბის გარშემო დაფუსფუსებდა. რამდენჯერმე დაუტატანა დედიკომ, აქ არ არის შენი საქმეო, კვამლმაც შეაწუხა, მაგრამ მაინც არ აპირებდა წასვლას. მოთუხთუხე თათარას ერთი წვეთი რომ დაეცა, მაშინ კი იკადრა გაქცევა. ახლა დეიდა თამართან მივიდა, ის ლოყაწითელ ვაშლებს კრეფდა. იტრიალა აქაც ლალიმ, იტრიალა, მაგრამ ვაშლს ვერ მისწვდა. არც აქაა ჩემი საქმეო, იფიქრა და იქიდანაც წავიდა. ძია ნიკო კაკალს ბერტყავდა. ეს კი უნდა იყოს ჩემი საქმეო, თქვა და კაკლის შეგროვება დაიწყო. მაღლიდან ბზრიალ-ბზრიალით წამოსული კაკალი მოხვდა თავში და ააღრიალა. ტირილით მივიდა ბებიასთან. ბებიას დიდი ცაცხვის ჩრდილში გაეშალა ჭრელი ხალიჩა, იქვე იდგა ჩირით სავსე გოდორი. მოხუცი წვალობდა, მაგრამ ნემსის ვიწრო ყუნწში ძაფს ვერ უყრიდა. ატირებული ლალი რომ დაინახა, დაუძახა, დაუყვავა, ცრემლები მოსწმინდა, მერე ნემსი და ძაფი მიაწოდა. ლალიმ ააგო, ერთი თავისთვისაც ააგებინა ბებიამ, — აბა თუ კარგი გოგო ხარ, დამეხმარებიო.

ლალის ჯერ უჭირდა ჩირის აცმა, მერე თანდათან შეეჩვია. ეს კი ნამდვილად ჩემი საქმე ყოფილაო, თქვა კუდრაჭამ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲐᲮᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲓᲐᲓᲘᲡ ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ

„ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲓᲔᲓᲘᲡ ᲫᲣᲫᲣ,
ᲐᲠ ᲒᲐᲘᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲖᲔᲓᲐ...“

ᲩᲕᲔᲜᲘ ერის ისტორიაში ცნობილია მრავალი ქალი, რომელთაც უცხო ქვეყანაში წასვლა და სჯულის შეცვლა უდიდეს ღალატად, წარმოუდგენელ დანაშაულად მიაჩნდათ.

ასეთ სახელოვან მანდილოსანთა რიცხვს ეკუთვნის XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე სოფელ იფნობიდან (იფნობი ქციის ხეობაში მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფელია) ქალაქ თბილისში გადმოსახლებული, ორბელიანთა ყმა-გლეხის ქალი, გიორგი ბოჭოლაშვილის ქვრივი მარიამი, რომელიც სამი ვაჟისა (შიო, დიმიტრი და დავითი) და ერთი ქალის (ბარბალე) დედა ყოფილა.

ცხადია, ქვრივს, ოთხი შვილის დედას, ობლების მოვლა-პატრონობა ძალზე უჭირდა. მაგრამ ამას კიდევ როგორმე აიტანდა, სხვა დიდი უბედურება რომ არ დასტყდომოდა თავს: 1780 წელს ლეკებმა ქვრივის 5-6 წლის შვილი დავითი მოიტაცეს და ზღვის გაღმა გაყიდეს. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა გულდათუთქული დედა...

დავით ბოჭოლაშვილი დაახლოებით 1774 წელს უნდა იყოს დაბადებული. ოსმალეთში გაყიდულმა რამდენიმე პატრონი გამოიცვალა და ბოლოს ბაღდადში ტყვეთა ბაზარზე მოხვდა. დავითი 11 წლისა ყოფილა, როცა მუსტაფა ბეგს შეუძენია და სულეიმანთან ქართველისათვის მიურთმევია. თანამემამულის დახმარებით დავითს კარგი განათლება მიუღია, სულეიმანის უშუალო ხელმძღვანელობით სახელოვანი კაციც გამხდარა, მისი ქალიშვილი შეურთავს და ბოლოს დაუდ-ფაშას სახელით ბაღდადის მეფის ტახტზეც ასულა.

1817-1831 წლებში დავითი ბაღდადის ხელმწიფეა. 1832 წლიდან ბოსნის მმართველად გვევლინება, ხოლო 1833 წლიდან თურქეთის სახელმწიფოს თავმჯდომარედ ინიშნება და სიკვდილამდე (1851 წელი) იქ მოღვაწეობს.

საინტერესოა ქრისტიანი ქართველი დედის დამოკიდებულება შვილისადმი, რომელიც ბაღდადში პირველ კაცად — დაუდ-ფაშად იწოდებოდა. დედა-შვილის დამოკიდებულებაზე ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელიც 1824 წელს თავის შენიშვნაში წერდა: „დაუდ-ფაშამ, სამი წლის წინათ, თავისი რწმუნებული მოავლინა საქართველოში, რათა ნება მისცემოდა დედამისს წასულიყო მასთან ბაღდადში, მაგრამ მან... უარი თქვა მუსულმანურ ქვეყანაში მოგზაურობაზე და მართლმადიდებლურ სამშობლოში ყოფნა ამჯობინა იმ ფუფუნებით ცხოვრებას, რაც ბაღდადში მოელოდა“.

დავითს ძლიერ ჰყვარებია დედა. ბაღდადიდან მან სა-განგებო თანხა გამოგზავნა დედის, დისა და ძმების გამოსასყიდად — ისინი ხომ თავად ორბელიანების ყმები იყვნენ!

ეს თანხა დედას მიუღია და დანიშნულებისამებრ გამოუყენებია.

თავად ორბელიანებს (ალბათ, ამ თანხის საფუძველზე), ყმები გაუთავისუფლებიათ. შემონახულია ამ განთავისუფლების საბუთიც.

მოსიყვარულე შვილის სითბო და ზრუნვა იგრძნობა დაუდ-ფაშას დედისადმი გამოგზავნილ ყოველ წერილში. აი ერთი მათგანი:

„თქვენი ძე დაუდ-ფაშა, მრავალს მოკითხვას და ნახვის ნატვრას მოგიძღვნით დედავ მარიამ! მერმედ შენი მოწერილი წიგნები თუ არ-ზრუმზედ გამოგზავნილი ანუ ზუბალაანთ კაცის ხელით გამოგზავნილი წიგნები ჩამაბარენ სრულად, რაც რომ მოგეწერათ ვისმინეთ და ახლა თქვენი აზნაურობისათვის ბატონი მთავარ მართებელისთვის წიგნი მომიწერია, უსუფა გამომიგზავნია, წიგნები გამომიტანებია.

წიგნების მირთმევაზე თქვენც მიჰყევით, რაც რომ გნებავდეს ყოველის ფერი მოახსენეთ. და ახლა ანდრია ზუბალაშვილისათვის მომიწერია, რომ ამ საქმეზედ მოგეხმარებათ. მერმეთ, თუ შეიძლებოდეს, ჩემს უნახაობას ნუ დაიშურებთ, მოდი, შენი ნახვა მსურს. სხვა ფერ ფიქრი ნუ გაქს. რეერთხანსაც გენებებოდეს იყავი, როცა ინებებთ მაშინვე კიდევ დიდი პატივით გაგიშვებთ. მერმედ ჩემ ძმას შიოს მრავალს მოკითხვას მოუძღვნით და შიოს ყმარწვილებს მრავალს მოკითხვას მოუძღვნი. ჩემს დას მრავალს მოკითხვას მოუძღვნი. მერმედ ვითხოვთ თქვენი მოწყალე გულისაგან რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ. კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს, თქვენ ვენახი გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ, ვითხოვ თქვენი მოწყალე დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას ნუ დაიზარებთ, ჩემთვის ლოცვით მოწყალე დედაო. თქვენი ძე, ბაღდადის ხელმწიფე დაუდ-ფაშა. დაიწერა წელსა 1820, მარიამობის ოთხს“.

მაგრამ შვილმა ვერ დაიყოლია დედა...

ბაღდადში ჩასვლას საქართველოში ღარიბულად ცხოვრება ამჯობინა ქალმა და ამჯერადაც უარი შეუთვალა საყვარელ შვილს, ბაღდადის პირველ კაცს მეფე დავითს ანუ როგორც ბაღდადში უწოდებდნენ — დაუდ-ფაშას...

მარიამ ბოჭოლაშვილის შთამომავალი დღესაც ცოცხალია.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

სიმღერაში კი ცვნობან ღარჩა...



ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი.

მარო თარხნიშვილი ძალზე პოპულარული და საყვარელი შემოქმედი იყო. მისი მკერდისმიერი სასიამოვნო ხმა გულში სწვდებოდა და ერთნაირი ძალით ატკბობდა ყველას. სიმღერები დიდი გემოვნებით, ლირიკულობით, ფაქიზი ნიუანსირებითა და ეროვნული მუსიკალური საუნჯის ღრმა ცოდნით გამოირჩეოდა. მარო თარხნიშვილი ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატი და დიდი პოპულარიზატორი იყო.

მარო თარხნიშვილი პირველი ქართველი ლოტბარი ქალია. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა თვითმოქმედ ანსამბლს თბილისში, გორში, კასპში, ხოხუმში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში.

ფოლკლორული მუსიკის შესანიშნავ მცოდნესა და დაუღალავ პროპაგანდისტს კარგად იცნობდნენ საქართველოს გარეთაც. მისი ანსამბლები წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე.

წავიდა ჩვენგან საუცხოო მომღერალი, წავიდა და კეთილ მოსაგონრად დაგვიტოვა თავისი შესანიშნავი, ქალური ეშხითა და სიყვარულით გამთბარი სიმღერები.

ქართველი პარტიზანები იტალიაში

ამას წინათ ბიძაჩემის ლავრენტი ჯაფარიძისა და მისი მეუღლის მარია პერონის მიწვევით ერთ თვეს დავყავი იტალიაში. ამ ხნის მანძილზე საკმაოდ ბევრის ნახვა და დათვალიერება მოვასწარი. რა თქმა უნდა, ვიყავი მაჯორეს ტბის მიდამოებში, სადაც ჩემი ბიძა და ბიცოლა პარტიზანებთან ერთად ფაშისტებს უბრძოდნენ. დავათვალიერე პარტიზანთა სასაფლაო, რომელსაც გულმოდგინედ უვლიან ადგილობრივი მკვიდრნი. სხვებთან ერთად აქ ორი ქართველიც მარხია. — ზურაბ ჩავლეიშვილი, დაიღუპა 1945 წლის 5 მაისს, — აწერია ერთ საფლავს, ხოლო მეორეზე მინიშნებულია, რომ აქ კარლო ილარიონის ძე ხურციძე განისვენებს. მე ორივე საფლავს სურათი გადავუღე და ფოტოები წამოვიღე.

პარტიზანთა ბრძოლის ადგილებში მოგზაურობის დროს გავიცანი ბატონი ჟორჟი (გვარი დამავიწყდა), რომელიც ქალაქ სტრეზაში ყოფილ პარტიზანთა კომიტეტის თავმჯდომარეა. უნდა გენახათ როგორ გაუხარდა, როდესაც გაიგო, საქართველოდან ვიყავი. იტალიაში მრავალი ქართველი პარტიზანი იბრძოდა, — თქვა მან, — ბევრი სახელოვანი სიკვდილით დაეცა და სამუდამო სამარე ჩვენს მიწაზე ჰპოვა. ბევრიც გადარჩა და მშვიდობით დაბრუნდა სამშობლოში. მათ სახელებს ჩვენი ხალხი სასოებით ინახავს. აი ზოგიერთი მათგანი, და ბატონმა ჟორჟმა საქართველოში წამოსაღებად 18 ქართველი პარტიზანის სია გადმომცა:

ვაჩეიშვილი კოლა ირაკლის ძე, გიჟიაშვილი სულიკო ვლადიმერის ძე, ბარდაველიძე ვანო სილოვანის ძე, კაპანაძე დავით ავქსენტის ძე, ფიცხელაური ვახტანგ ზაქარიას ძე და სხვები. ამ დოკუმენტს ხელს აწერს 918-ე ბრიგადის მე-2 ათასეულის მეთაური.

იტალიელთა ლეგენდარულმა პარტიზანმა აჩალდო კასტონელმა კი, იმ 11 ქართველისათვის, რომლებიც ჩრდილოეთ იტალიის მთებში მასთან ერთად ებრძოდნენ ფაშისტებს, პასპორტები გამომატანა. მათში დადასტურებულია, რომ ჩვენი თანამემამულეები შორეულ იტალიაში ჯალათებს მუსრს ავლებდნენ.

რა თქმა უნდა, იტალიიდან მე და ჩემ შვილს ბევრი სხვა მოგონებაც წამოგვყვა. იტალიელ ხელოვანთა სწორუპოვარმა ქმნილებებმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს, მაგრამ თანამემამულეთა საფლავებთან შეხვედრამ ისე ამაღელვა, გადავწყვიტე მკითხველებისათვის პირველ რიგში მათ შესახებ მომეთხრო.

ჯულიეტა გოგრიჭიანი,
რომი-თბილისი



სურათებზე: ზურაბ ჩავლეიშვილისა და კარლო ხურციძის საფლავები იტალიაში.



მოკლედ

გეკატიჭებათ „რიონი“

● **მოსკოვში**, არბატის ქუჩაზე, რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა კაფე „რიონი“. დარბაზის ინტერიერი აღმოსავლური სტილით არის შესრულებული. კედლებზეა ძველი ქართული ხმლები, ფარები, მუზარადები, ჭედურობა. ანთია ქართული ბუხარი.

„რიონში“ შეგიძლიათ იგემოთ ქართული ეროვნული სამზარეულოს გემრიელი კერძები.

„ალაზანი“

● **თბილისის** 26 კომისრის სახელობის მანქანათმაშენებელი ქარხნის კოლექტივმა მსოფლიოში პირველმა აითვისა მშვიდობიანი, სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვმტყორცნი მოწყობილობის „ალაზნის“ გამოშვება, რომელმაც წლეულს საბოლოო გამოცდა გაიარა. მისი დამზადება სერიულად დაიწყო. ქართველ კონსტრუქტორთა მიერ შექმნილმა მოწყობილობამ დიდი მოწონება დაიმსახურა და იმ ქვეყნების ყურადღება მიიქცია, სადაც მევენახეობას მისდევენ.

ამ დღეებში ბულგარეთში 5 „ალაზანი“ გაიგზავნა.

„მეგობაროზა“ ურეკში

● **შავი ზღვის** სანაპიროს კიდევ ერთი დასასვენებელი სახლი შეემატა. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ თავისი წევრებისათვის ურეკში აიგო 60-ადგილიანი დასასვენებელი სახლი — „მეგობაროზა“.

სპორტი

გზა გორზე გადის

გორში დაიწყო ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება — 3 გამარჯვებული მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძენს. ისე რომ, გორში ჩამოსული 30 მოჭადრაკიდან ყველას აქვს თეორიული შესაძლებლობა 1971 წელს ბატუმში შეხვდეს ნონა გაფრინდაშვილს!

ტურნირის შემადგენლობა მეტისმეტად ძლიერია. მასში მონაწილეობს ოცდა ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილისა და მისი ყოფილი მეტოქის ლიდა კუშნირის გარდა.

ვინ უნდა მივიჩნიოთ პირველი ოცეულის ძირითად პრეტენდენტად გორში? მიმომხილველები მაღალ შეფასებას აძლევენ ნანა ალექსანდრიას. სამასსანელო ორი წლის მანძილზე ნანამ გაიმარჯვა ბელგრადში, თბილისში, აშხაბადში, ლუბლიანში... 20 წლის ქართველი ქალიშვილი შესანიშნავ ფორმაშია და, უნდა ვიფიქროთ, გორშიც კარგად ითამაშებს. მისი მთავარი მეტოქეები იქნებიან საკავშირო ოსტატები ტატიანა ზატულოვსკაია (ბაქო) და ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი). არც ერთი მათგანისათვის არ არის სავალდებულო სამეულში მოხვედრა (მათ ისედაც აქვთ საზონათაშორისო ტურნირში გამოსვლის უფლება, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი შეჯიბრების პრიზიორებს).

საზონათაშორისო ტურნირის საგზურებისათვის უდავოდ იბრძოლებენ ხარკოველი ოლღა ანდრეევა, მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი, მინსკელი კირა ვვორიკინა, მოსკოველები ნატალია კონოპლიოვა და ელენე რუბცოვა. ელენეს ჩამოჰყვა დედა, ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ოლღა რუბცოვა, რომელიც შეჯიბრების მსაჯი გახლავთ.

ბრძოლაში ჩაება კიდევ ერთი თბილისელი მოჭადრაკე — თამარ ხუგაშვილი. ამ შეჯიბრებაში თამარს კონკრეტული ამოცანა აქვს — გახდეს სპორტის ოსტატი. თამარ ხუგაშვილი წლეულს ყველგან წარმატებით თამაშობდა, გახდა თბილისის ჩემპიონი და, უნდა ვიფიქროთ, შეასრულებს კიდეც ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმას.

მაშ ასე, გორში ჩართეს საჭადრაკო საათები...

გივი გამრეკელი,
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი)

ფეხბურთის მოედნებზე

„ა“ კლასის I ჯგუფი

უკანასკნელ ორ მატჩში თბილისის დინამოელებმა ორი ქულა დაკარგეს. ჯერ იყო და, მათ ფრედ (1:1) ითამაშეს ოდესაში „ჩერნომორეცთან“, ხოლო შემდეგ ასევე ქულები გაიყვეს საკუთარ მოედანზე მოსკოვის ცსკასთან (0:0). ახლა მესამე ადგილის პრეტენდენტი სამია: ცსკა, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფი

თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელმაც შესანიშნავად წარმართა შეჯიბრების დიდი ნაწილი, უკანასკნელ გასვლით ასპარეზობებში ყველაფერი „წყალში ჩაყარა“.

ჯერ იყო და დუშანბეში „ენერგეტიკთან“ (0:1) დამარცხდა, შემდეგ ფრედ (1:1) ითამაშა აუტსაიდერთან — ლენინაბადის „პამირთან“, ხოლო მესამე მატჩი წააგო ფერგანის „ნეფტიანიკთან“ (0:1).

ახლა პირველ ადგილზე ვილნიუსის „ჟალგირისია“, რომელსაც 49 ქულა აქვს. მას ორი ქულით ჩამორჩებიან თბილისელები.

„ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონა

პირველ ადგილს კვლავ გორის „დილა“ ინარჩუნებს, რომელსაც 29 თამაშიდან 43 ქულა აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვა ერევნის „ავტომობილისტმა“, მაგრამ მან 2 მატჩით მეტი ითამაშა. მომდევნო სამ ადგილზე საქართველოს გუნდები არიან: ლანჩხუთის „გურია“ (41 ქულა), მახარაძის „მერცხალი“ და რუსთავის „მეტალურგი“ (38 ქულა).

ოთხი თბილისელი — ნაკრებში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება მსოფლიო პირველობის მატჩებისათვის. 15 ოქტომბერს კიევში ჩავლენ თურქები, ხოლო 22 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება შესარჩევი ტურნირის ცენტრალური მატჩი — მეორედ ითამაშებენ საბჭოთა და ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელები.

ამ შეხვედრების უკანასკნელი რეპეტიცია იყო მატჩი ბელგრადში იუგოსლავიის ნაკრებთან. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. კვლავ ისახელა თავი თბილისელმა რეზო ძოძუაშვილმა, რომელიც გამოჩენილი გარემარების დრაგან ჭაიჩის წინააღმდეგ თამაშობდა. საუცხოო გამოდგა თბილისელი კახი ასათიანისა და გივი ნოდიას დებიუტი ნაკრებში. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მათ ჩინებული ბურთები გაიტანეს. ასათიანი და ნოდია თამაშობდნენ დიდი საბრძოლო შემართებით და მიმომხილველთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს.

6 ოქტომბერს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას გაუგზავნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც თურქებსა და ჩრდილოირლანდიელებთან შესახვედრად ემზადებიან. ამ სიაში ოთხი თბილისელია: რეზო ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი და გივი ნოდია.

გიგლა ფირცხალავა

მხატვარ-კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას ნახატებს არა მარტო საქართველოში, არამედ უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და ბელგიაშიც იცნობენ. მსოფლიოში სახელგანთქმული კარიკატურისტი ბიძგრუაჯი, როდესაც ჩვენი თანამემამულის ნახატები ნახა, აღფრთოვანებული დარჩა და უკვე რამდენიმე წელიწადია ყოველ ახალ წიგნს საჩუქრად გიგლა ფირცხალავას უგზავნის.

შარშან გამომცემლობა „პრავდამ“ 100 ათასი ტირაჟით გამოსცა გიგლას კარიკატურების წიგნი და, ვარმოიდგინეთ, მაღაზიებში მეორე დღეს ერთ ეგზემპლარსაც ვერ იშოვიდით. ასეთი პოპულარობა, რა თქმა უნდა, ხალას ნიჭთან ერთად, წლების მანძილზე გაწეული დიდი შრომის შედეგიც არის. საინტერესოა შემოქმედის გზა. თბილისის სამხატვრო ტექნიკუმის დასრულების შემდეგ, გიგლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტს ამთავრებს და 1941 წლიდან მხატვარ-კარიკატურისტად გვევლინება.

მხატვარი სიამოვნებით დაგვთანხმდა დროდადრო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავისი ნახატები გამოაქვეყნოს.

გთავაზობთ გიგლა ფირცხალავას „საშემოდგომო“ ნახატ-ხუმრობას.



გადავცეთ შთამომავლობას

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ისტორიული წარსულით, ხელოვნებისა და არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლებით. ახალი არქეოლოგიური ძიებანი კიდევ უფრო ამდიდრებენ ჩვენი ერის ისედაც მდიდარ ისტორიას, უძველესი კულტურის საგანძურს. საკმარისია გავიხსენოთ ბოლო წლებში მცხეთაში ნაპოვნი დიდებული სასახლის ნანგრევები და სულ ახლახან უდიდესი მეცნიერული ღირებულების აღმოჩენები ვანში.

მაგრამ საუკუნეებს გამოვლილი ეს ძეგლები მეცნიერულ შესწავლას, მოვლასა და პატრონობას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით ათიოდე წლის წინათ პირველად საბჭოთა კავშირში, საქართველოში შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც დიდ კეთილშობილურ, ეროვნულ საქმეს აკეთებს. დღეს იგი ნახევარ მილიონ წევრს აერთიანებს და მრავალ საშვილიშვილო წამოწყებას უდგას სათავეში. საზოგადოებამ უკვე შეაკეთა წარსულის 25-ზე მეტი უნიკალური ძეგლი, რომელთა მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის განუზომელია.

მაგალითად, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით აღნიშნულმა საზოგადოებამ დიდი აღდგენითი მუშაობა გასწია სვეტიცხოვლის მიდამოებში. ახლა სვეტიცხოვლის შესავალი-კარიბჭე — XI საუკუნის ეს დიდებული ძეგლი, ტაძრის დამთვალიერებელთა წინაშე წარდგა პირვანდელი სახით და თავისი სილამაზითა და შესრულების ოსტატობით განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

საზოგადოებამ აღადგინა აგრეთვე X საუკუნის ძეგლი — თავად ჭავჭავაძეების საგვარეულო ეკლესია, XI საუკუნის იღორის ეკლესია ნიკორწმინდაში, სახელგანთქმული იყალთოს ეკლესია და აკადემია.

საზოგადოების მნიშვნელოვანი დამსახურებაა აგრეთვე ძველი ფრესკების აღმოჩენა და აღდგენა. ასეთი ფრესკები გამოვლინდა ალავერდში, სადაც დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ბევრი გაკეთდა ყინწვისის ფრესკების გადასარჩენადაც.

რამდენმა გასაოცარმა, ორიგინალურმა, განუმეორებელმა შენობამ და ქიხე-კოშკმა მოაღწია ჩვენამდე საქართველოს მთიანეთში. მათი პერიოდულად შეკეთება-რესტავრაცია, შთამომავლობისათვის პირველსახით გადაცემა მთელი საზოგადოების, თანამედროვე ქართველი ხალხის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ამ მხრივ ბევრი გაკეთდა. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. თავის რიგს ელოდება არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი და მთელი არქიტექტურული ანსამბლები, რომელთა მდგომარეობა წევს კანონიერ შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, არქიტექტურის უნიკალური ძეგლი შატილი. იგი ინგრევა, და თუ დროზე არ მივეშველეთ, საბოლოოდ დავკარგავთ.

განსაკუთრებით მომწიფდა საკითხი ქართული კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების დღემდე უცნობი ძეგლების გამოვლინებისა იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებთანაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ჰქონდა.

ყოველივე ამაზე, და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე, იმსჯელეს ამ დღეებში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV რესპუბლიკური ყრილობის მონაწილეებმა. მომხსენებელმა — საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოთარ თაქთაქიშვილმა, თანამომხსენებელმა, თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ სანებლიძემ, ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა — იასე ცინცაძემ, ლევან გოთუამ, ნიკო ჰუცხოველმა, ვახტანგ ბერიძემ, ირაკლი ციციშვილმა, შალვა ამირანაშვილმა და სხვებმა.

ყრილობამ აირჩია საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების IV ყრილობა



სიმონ ჯილაძის ფოტო

— რომელი ჩურჩხელა უყვარს დიდი და ყველაზე ტკბილი? — ჩვენ ვკითხეთ პატარა მუსაებს. ბიჭი, მარინე, მანანა, ზურიკო და ნინო ერთხმად ჩურჩხელის მოლოდინში ნერწყვს ყლაპავენ.

ქართული სამგარეულო

ფელამუში

თეთრი ტკბილი ჯიშის ყურძნიდან გამოწურეთ წვენი (4 ჩაის ჭიქა), ქვაბში ჩაასხით და ცეცხლზე შედგით. როცა შეთბება, თანდათანობით ჩაყარეთ შიგ 1 ჩაის ჭიქა გაცრილი სიმინდის ფქვილი და თან შეუწყვეტლივ ურიეთ. ასე ხარშეთ შემზადებამდე. საჭიროა ადუღების მომენტიდან ნელი დუღილით იხარშოს 40 წუთს.

წყალგამოვლებულ ჭურჭელში ჩაასხით ცხელი ფელამუში, შეაგრილეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

ჩურჩხელა

საქართველოში ჩურჩხელა სხვადასხვა წესით მზადდება, სახელდობრ: კახური, ქართლური, იმერული, მეგრული, რაჭა-ლეჩხუმური, აფხაზური და გურული. თითოეულს თავისი სპეციფიკური გემო აქვს და საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან.

ჩურჩხელა კეთდება ნიგვზის, თხილის, ნუშის, წიწიბოსი, გოგრის თესლის, ჩამიჩისა და ჩირისა. ჩურჩხელასათვის უნდა შეირჩეს თეთრი, საღი, კარგად გამშრალი ნიგოზი. ნიგვზისაგან კეთდება სამნაირი ჩურჩხელა: მთელ-მთელი ლებნისაგან, ოთხი ლებნისაგან და ლებნის მეოთხედებისაგან აგებული (ესე იგი ერთი ლებანი ოთხად იყოფა). ლებნის მეოთხედებისაგან აგებული ჩურჩხელა ყველაზე კარგი გამოდის და ამიტომ ის უფრო გავრცელებულია.

დაჭერით 25-30 სანტიმეტრი სიგრძის ბამბის მაგარი ძაფი, ააგეთ ნემსზე, ერთ მომსხო ნიგოზს ორჯერ ამოუყარეთ, რომ არ ჩამოვარდეს. შემდეგ დანარჩენი ნიგოზიც აასხით, სანამ ძაფი გაივსება. ყურადღება მიაქციეთ, რომ ნიგოზსა და ნიგოზს შორის ცარიელი ადგილი არ დარჩეს. როცა ყველა ლებანს ააგებთ, გაუკეთეთ მსხვილი ბამბის ძაფის სათაურები. თხილიც ასევე აასხით, მხოლოდ დაჭრა არ უნდა, კანი მოაშორეთ და მთელ-მთელი ააგეთ.

ახლად დაწურული თეთრი ყურძნის ტკბილი წვენი (ათი ლიტრი) ჩაასხით ქვაბში, დადგით ცეცხლზე და ნელა ადუღეთ დაახლოებით 2-3 საათს. დუღილის დროს მოგდებული ქაფი მაშინვე მოხადეთ, შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და როცა გაგრილდება, გამტკიცული პურის ფქვილი (1.200 გრამი) ჩაყარეთ შიგ ნელ-ნელა და თან განუწყვეტლივ ურიეთ, რომ კოშტები არ მიიღოთ. როცა ფქვილს სულ ჩაყრით, კარგად აურიეთ და დაზილეთ, ქვაბი ისევ ცეცხლზე შედგით და ურიეთ ნელ-ნელა ხის კოვზით, რომ ძირზე არ მიიწვას. ჩურჩხელამ რომ სიტკბო შეინარჩუნოს და რბილი გამოვიდეს, რეკომენდებულია დუღილის პროცესში შეუწყვეტელი მორევით თანდათანობით ჩაემატოს 500 გრამი შაქრის ფხვნილი. როცა ცოტა შესქელდება (მოთათარავდება), კარგად დაზილეთ, ხოლო როცა დაწითლდება და ზედაპირზე თეთრი ბუშტუკები გაჩნდება, საჩურჩხელე თათარაც მზად არის. ცხელ თათარაში ორჯერ ან სამჯერ სათითაოდ ამოავლეთ ძაფზე ასხმული ნიგოზი და ხარახაზე დაჰკიდეთ ისე, რომ ერთმანეთს არ მოხვდეს. კარგად ნადუღი თათარა არ ჩამოიწუწება ჩურჩხელიდან, ამოავლებთ თუ არა, მაშინვე ზედ გაჩერდება. შემდეგ ჰაერზე გაფინეთ, მხოლოდ ძალიან არ უნდა გაახმოთ, რბილი ჩამოიღეთ და შეინახეთ. ჩასალაგებელ ჭურჭელს თეთრი სუფთა ქსოვილი ჩაუფინეთ და ზევიდანაც დახურეთ. შეინახეთ გრილ ადგილას (15-18°). ასე იგი გათეთრდება და დაშაქრდება.

ოთხობა მეზღვეთში

● 5 ოქტომბერს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო პოეზიის დღესასწაულ შოთაობაზე, რომელიც მესხეთში, უკვდავი მგოსნის მშობლიურ სოფელ რუსთავში გაიმართა.

მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები, ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე, კრიტიკოსი ბესარიონ ყულტა, მწერლები ლევან გოთუა, ბენიკ სეირანიანი, გურამ ფანჯიკიძე. ახალი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ალიო მირცხულავამ, კარლო კალაძემ, დავით გაჩეჩილაძემ, გიორგი კაჭახიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მორის ფოცხიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ და სხვებმა.

საზეიმო მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა.

დაგეძებენ, მოგელიან

ფარნაოზ ნიკოლოზის ძე სამაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს დუშეთში, ეძებს დედა — ნატალია გიორგის ასული სამაშვილი, მცხოვრებს დუშეთში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა № 19.

თათრია (ტატალი) შაქროს ძე გრძელიშვილს,

დაბადებულს 1904 წელს ახმეტის რაიონის სოფელ მატანში, ეძებენ შეუღლე — **ბაბე გიორგის ასული შათირიშვილი,** შვილები — **ნინო და მაყვალა გრძელიშვილები.**

სპირიდონ კონსტანტინეს ძე ბერაძეს,

დაბადებულს 1919 წელს თბილისში, ეძებს ძმა — **ირაკლი კონსტანტინეს ძე ბერაძე,** მცხოვრები თბილისში, ჩალაუბნის შესახვევი № 9.

მიხეილ ნიკოლოზის ძე გოგორიშვილს,

დაბადებულს 1924 წელს თბილისში, ეძებს დედა — **ეკატერინე დიმიტრის ასული გოგორიშვილი,** მცხოვრები თბილისში, გოგოლის ქუჩა № 45 ა.

ლევან ნიკოლოზის ძე ჭადაგიძეს,

დაბადებულს 1908 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, ეძებენ მეუღლე — **ალექსანდრა ვლადიმერის ასული მესხი,** დები—**მარიამ და თინა ჭადაგიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, საბჭოს ქუჩა № 5.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

66488

ფასი 4 კაპ.